ფინანსების საბანკო საქმისა და დაზღვევის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N4

თბილისი, 21 აგვისტო 2023

ფინანსების საბანკო საქმისა და დაზღვევის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო)სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები:

1. **ვლადიმერ ღლონტი** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ტასო გეთაშვილი** - შპს გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ვახტანგ ბერიშვილი** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს წევრი;
4. **ლედი ძნელაძე** - სსიპ - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
5. **თეა კბილცეცხლაშვილი** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით, საპატიო დოქტორი - **საბჭოს წევრი;**
6. **ილია ბოცვაძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ბიზნესის ადმინისტრირების, ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამების ხელმძღვანელი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი**
7. **ნინო ხარებავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
8. **ალექსანდრე მარგიშვილი** - შპს „ქუდოს ჯორჯიას" გენერალური დირექტორი - **საბჭოს წევრი;**
9. **ხათუნა ბარბაქაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
10. **ვალერი მოსიაშვილი** - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი - **საბჭოს წევრი;**
11. **ნიკოლოზ ჩარკვიანი** - სს- ქართუ ბანკის ხაზინის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, აქტივ- პასივების მართვის განყოფილების უფროსი - **საბჭოს წევრი;**

12. **ნანა შონია** - სსიპ აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი - **საბჭოს წევრი**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ხატია ბერიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
- **ნათია ვაჭარაძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.

დაინტერესებული მხარეები:

ნინო ლობჯანიძე;

ნინო ტალიკაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე.

კვალიფიკაციების სამსახურის უფროსი სპეციალისტი ხატია ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 22 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ასევე, ითხოვა ნებართვა სხდომის ჩაწერაზე, რომელიც ოქმის წარმოების მიზნით განხორციელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ღლონტი მიესალმა საბჭოს და დღის წესრიგი წარუდგინა. დღის წესრიგი გახლდათ საჯარო განხილვაზე განთავსებული დოკუმენტთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცნობა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, დოკუმენტის საბოლოო გადახედვა და ცენტრის დირექტორთან წარსადგენად კენჭის ყრაზე გატანა.

ასევე, ხატია ბერიძემ მოახსენა, რომ საჯარო განხილვაზე დოკუმენტი განთავსებული იყო ოთხი კვირის ვადით, აღნიშნული ვადის გათვალისწინებით, ფინანსების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან დაკავშირებით არ შემოსულა კომენტარი/შენიშვნა/რეკომენდაცია. დაინტერესებული მხარეებიდან სხდომახე დასასწრებად დარეგისტრირდა ოთხი მსურველი.

მოისმინეს

ვლადიმერ ღლონტმა კიდევ ერთხელ მიმოიხილა დარგობრივი დოკუმენტი, საბჭოს წევრებს, ცენტრს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა კითხვით ხომ არ ჰქონდათ აღნიშნულ დოკუმენტზე რაიმე რეკომენდაცია ან შენიშვნა.

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც ფინანსების სფეროს უმაღლესი განათლების I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

ფინანსების დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი ფინანსების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენს.

ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სტუდენტების მობილობის, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარების, პროფესიის დაუფლებისა და საგანმანათლებლო პროგრამებში შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვის მხარდაჭერა.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია ფინანსების ბაკალავრისა და ფინანსების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები და სხვა მახასათებლები. ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა (სწავლა-სწავლებასთან, შეფასებასა და სხვა სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერებისა), სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება ფინანსების საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

თითოეული განმახორციელებელი უსდ უფლებამოსილია, აღნიშნული დარგობრივი მახასიათებლის გათვალისწინებით, განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს ფინანსები;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი, თუ რა კომპეტენციები ექნება ფინანსების საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებლისთვის, რომელსაც სურს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.
- ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირთათვის, რომლებსაც ევალებათ საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულად შეფასება და ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.
ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის სახელწოდებაა – The Subject Benchmark Statement of Finance.
ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის შექმნის საჭიროება განაპირობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ.

II. სწავლის სფეროს აღწერა

ფინანსების სწავლის სფერო ორიენტირებულია საფინანსო საქმიანობისა და მომსახურების დაგეგმვის, მართვის, ორგანიზებისა და კონტროლის უზრუნველყოფაზე, იგი მოიცავს ორგანიზაციის, ინსტიტუტებისა და ინდივიდების ფინანსური რესურსების მონიტორინგსა და კონტროლს, ასევე კორპორაციებისა და ინდივიდების საფინანსო მომსახურების საკითხებს. მისი მთავარი ამოცანაა ფინანსური რესურსების და აქტივების ეფექტიანი მართვა, რაც მოიცავს ფინანსური პოლიტიკის შემუშავებასა და ფინანსური რესურსების აკუმულირებას, დაგეგმვას, კონტროლს, ფინანსური რისკების გაანალიზებას და ფინანსური ურთიერთობების რეგულირებას.

ფინანსების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები კვალიფიკაციის მფლობელისთვის უნდა უზრუნველყოფდეს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას შემდეგ სფეროებში:

- **ფინანსური სისტემა** - ინდივიდების, ორგანიზაციების და ინსტიტუტების ფინანსები; ფინანსების, ფულისა და კრედიტის თეორიები; ფინანსური სისტემის სფეროები და რგოლები; ფინანსების ფუნქციები.

- **ფინანსური ბაზარი** - ფულისა და კაპიტალის ბაზრების განვითარება და ოპერირება; მონაწილეები; მომხმარებლების საფინანსო მომსახურება და მათზე ორიენტირებულობა; ფინანსური ბაზრის სტრუქტურა და საფინანსო საქმიანობა.
- **ფინანსური სტრატეგია** - ცვალებადი გარემოს შესაბამისი ფინანსური სტრატეგიების შემუშავება ჩართული/დაინტერესებული მხარეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შემდეგი მიმართულებით: საფინანსო-ეკონომიკური მდგრადობა, საერთაშორისო ფინანსები, ინოვაციები, ფინანსური რისკების მართვა, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა.
- **ფინანსური მენეჯმენტი და ოპერაციები** - დაფინანსების წყაროების განსაზღვრა და მობილიზება, ფინანსური რესურსების გამოყენება და მართვა; ფინანსური ოპერაციების მენეჯმენტი; ფინანსური აღრიცხვისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; გადასახადებისა და დაბეგვრის საბაზო ცოდნა.
- **ფინანსური ტექნოლოგიები** - ფინანსურ საქმიანობასა და მომსახურებაში ინფორმაციული კომუნიკაციების, ტექნოლოგიების, საბანკო და სადაზღვევო პროდუქტების, სერვისებისა და ინოვაციური მეთოდების ცოდნა და გამოყენება.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ფინანსების სფეროში განათლების შინაარსს. თუმცა, არსებობს სხვა სფეროები, რომლებიც სპეციალიზებულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეესაბამება. ფინანსების მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს ფუნქციურ სპეციფიკას (მაგალითად, საბანკო საქმე, ინვესტიციები და ფინანსური პორტფელის მართვა, რისკებისა და ინვესტიციების მართვა, სადაზღვევო საქმე და სხვ.), ან სპეციალიზებულ თემატიკას (მაგალითად, ციფრული ფინანსები, ფინანსური ბაზრები, „მწვანე ფინანსები", ფინანსური ინოვაციები, ფინანსური ტექნოლოგიები და სხვ.).

ფინანსების სფეროში საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში შესაბამისი საფეხურისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები. ასეთი მიდგომის ფარგლებში, თითოეული შესაძლო ფუნქციური სპეციფიკის ან სპეციალიზებული თემატიკის არსებობის შემთხვევაში სპეციალიზებული სწავლება უნდა განხორციელდეს გამოყენების სფეროს გათვალისწინებით.

ფინანსების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით ყველა შესაძლო კვალიფიკაციის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად საჭირო კომპეტენციების მინიმუმ 50% ფინანსების სფეროდან იყოს ათვისებული, ხოლო დანარჩენი 50% შესაძლებელია იყოს გამოყენების სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები ან/და ზოგადი კომპეტენციები.

ფინანსების საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს ფინანსების სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ ასპექტებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს ფინანსური საქმიანობის, ფინანსური მომსახურების სფეროს, ფინანსების, ფულისა და კრედიტის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.

ფინანსების სამაგისტრო პროგრამები უზრუნველყოფს ფინანსებთან დაკავშირებულ სიღრმისეულ და სისტემურ კომპეტენციებს და კვლევის მეთოდების სწავლებას, რაც სადოქტორო პროგრამებზე სწავლისთვის მომზადებასაც ითვალისწინებს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მახასიათებლების განსაზღვრა არა სასწავლო რესურსებთან, არამედ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მინიმუმთან მიმართებით, რომელიც დოკუმენტის მე-3 ნაწილშია მოცემული.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ფინანსების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- აღწერს საფინანსო ინფრასტრუქტურას, ფინანსურ ინსტიტუტებს, ფინანსური მენეჯმენტის და საინვესტიციო საქმიანობის მნიშვნელობას ცოდნის ზოგიერთი უახლესი ასპექტის გათვალისწინებით;
- განმარტავს ფინანსების თანამედროვე თეორიებს, საფინანსო საქმიანობის და მომსახურების დაგეგმვასა და ხელმძღვანელობაზე მოქმედ ფაქტორებს;

- მოიძიებს და აანალიზებს ფინანსურ მონაცემებს ინდივიდების, ორგანიზაციების, ინსტიტუტების საფინანსო საქმიანობის შესახებ, გამოთქვამს რაციონალურ ვარაუდებს და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს;
- ანალიზის პროცესში იყენებს მონაცემების დამუშავების შესაბამის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს;
- აფასებს საფინანსო-ეკონომიკურ და ბიზნეს გარემოს, მიმდინარე ფინანსურ მოვლენებს, პროცესებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
- ამყარებს კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით;
- მონაწილეობს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის/პროექტის შემუშავებასა და განხორციელების პროცესში წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად;
- განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში ეთიკის, პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ასრულებს პროფესიულ საქმიანობას.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ფინანსების სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას ფინანსების შემდეგ სფეროებში: ფინანსური სისტემა, ფინანსური ბაზრები და ინსტიტუტები, რისკები და ინვესტიციები, ფინანსური მენეჯმენტი და სტრატეგიები;
- განსაზღვრავს ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ფინანსური რესურსების მართვის პოლიტიკას და აკავშირებს მაკროეკონომიკურ კონტექსტს ფინანსური რესურსების მართვასთან;
- ახდენს ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების შიდა და გარე გამოწვევების იდენტიფიცირებას, ინოვაციური/უახლესი მიდგომებით შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- აფასებს საფინანსო პროცესებს, მოვლენებს ორგანიზაციების უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით; პროფესიულ ეთიკასა და სამართლებრივ რეგულაციებზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს;
- შეიმუშავებს ფინანსური რესურსების მობილიზაციის, განაწილებისა და გამოყენების პროცესში სტრატეგიებს, ბიზნესმოდელებს, პროექტებს და ახდენს მათ შეფასებას;

- დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან;
- ახორციელებს სწავლასა და საქმიანობას როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და უნარების გამოყენებით.
- კვლევის განხორციელების პროცესში განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და უზრუნველყოფს საკუთარ პროფესიულ განვითარებას.

IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტებს ენიჭებათ კვალიფიკაცია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (№69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი, ქ. თბილისი) დანართი 2-ის „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით.

კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე. თუ ფინანსების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-6 და მე-7 დონეების საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროცესში ფინანსების სფეროს თეორიულ შესწავლაზე და პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს **„ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში“**, ან **„ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში“**.

თუ პროგრამის ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო-კვლევითი უნარები, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: **„მეცნიერების ბაკალავრი ფინანსებში“, „მეცნიერების მაგისტრი ფინანსებში“**. **„ფინანსების ბაკალავრის“**, ან **„ფინანსების მაგისტრის“** კვალიფიკაცია ენიჭება იმგვარ პროგრამებში, სადაც აქცენტი პრაქტიკაზე და პროფესიაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე კეთდება.

თუ ფინანსების სწავლის სფეროს შესაბამისი საბაკალავრო, ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებზე და ზოგადად ფინანსების თეორიულ შესწავლაზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება

შესაძლებელია იყოს „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფინანსებში“, ან „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფინანსებში“.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელში აღწერილი სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლისა და სწავლების მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს წარმოაჩინოს მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამისობა ფინანსების დარგობრივ მახასიათებელთან.

სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით, ექვემდებარება პერიოდულ გარე შეფასებას. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლის პროცესში აქტიურად ჩართვა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. სწავლის, სწავლებისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენს. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს. ყველა შემთხვევაში, ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი სასწავლებლები უნდა ახდენდნენ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების რეგულარულ გადახედვა-განახლებას.

ფინანსების სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით/აქტივობებით:

- ვერბალური მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ჯგუფში მუშაობა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- სწავლება კეთებით;
- შემთხვევის შესწავლა;
- პროექტზე დაფუძნებული სწავლება;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- სიმულაციური სწავლება;
- ლაბორატორიული მუშაობა;
- კონსულტაციები;
- დისკუსია/ დებატები;
- პრეზენტაცია;
- ელექტრონული სწავლება;

და სხვა.

სწავლა-სწავლებისთვის გამოყენებული მეთოდები/აქტივობები ერთმანეთს სრულყოფს. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორიცაა: წიგნების/სახელმძღვანელოების/ინტერნეტ რესურსების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, პრაქტიკული მაგალითები, პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, შემთხვევების ანალიზი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის განხილვებში მონაწილეობას, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე საჯარო პრეზენტაციების ჩატარებას, პროექტების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, ზეპირი და წერითი დავალებების შესრულებას, გუნდში მუშაობის შეფასებას, სტუდენტთა ურთიერთშეფასებას, ანგარიშის მომზადებას და წარმოდგენას და სხვა.

VI. დამატებითი ინფორმაცია

ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამებს უნდა ახორციელებდეს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციისა (ფინანსები და სხვა მომიჯნავე სფეროები) და გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. პროგრამების განმახორციელებლები შეიძლება იყვნენ სათანადო პრაქტიკული გამოცდილებისა და/ან სპეციალური კომპეტენციების/მომზადების მქონე პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს ამ საგანმანათლებლო პროგრამების და ფინანსების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას.

ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული პრაქტიკის კომპონენტი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ECTS) კრედიტის მოცულობის.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს სათანადოდ დაფინანსებული და რეგულარულად განახლებადი ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკა, მათ შორის წვდომა შესაბამისი სფეროს საერთაშორისოდ აღიარებულ ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. უნდა არსებობდეს სათანადო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები, რაც მოიცავს სასწავლო აუდიტორიებს, ლაბორატორიებს, სწრაფ და უსაფრთხო წვდომას ინტერნეტზე და სხვ.

დაადგინეს

დარგობრივ მახასიათებელზე არცერთ მხარეს არ გამოუთქვამს მოსაზრება/შენიშვნა.

მოისმინეს

ნინო ტალიკაძის კითხვა აღნიშნული დოკომენტი ვრცელდებოდა თუარა აღმასრულებელი მაგისტრის კვალიფიკაციაზე

დაადგინეს

ვლადიმერ ღლონტმა და ნათია ვაჭარაძემ უპასუხეს აღნიშნულ კითხვას. ბატონ ვლადიმერმა განმარტა, რომ აღნიშნული დარგობრივში არ არის ამ დროისთვის აღმასრულებელ მაგისტრთან მიმართებით არ არის ჩანაწერი გაკეთებული მისი სპეციფიკაციების გამო, ხოლო ნათია ვაჭარაძემ განმარტა, რომ აღნიშნულზე ჩანაწერის გაკეთება შესაძლებელია საბჭოს უფლებამოსილების ვადაში, ან გარე ინიციატორს შეუძლია აღნიშნული წარმოადგინოს და საბჭო განიხილავს.

მოისმინეს

ვლადიმერ ღლონტმა კიდევ ერთხელ მიმართა თუკი ვინმეს ჰქონდა მოსაზრება დოკუმენტთან დაკავშირებით გაეჟღერებინათ.

შემდგომ კენჭისყრაზე დააყენა დოკუმენტის დასამტკიცებლად ცენტრის დირექტორისათვის წარდგენის საკითხი.

დაადგინეს

კენჭისყრის შედეგები: 12 მომხრე, 0 მოწინააღმდეგე

გადაწყვეტილება: საბჭოს ყველა წევრმა გადაწყვიტა მიეცეს დადებითი რეკომენდაცია ფინანასების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს და წარედგინოს ცენტრის დირექტორის დასამტკიცებლად.

სხდომა დასრულდა 17: 00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე

ვლადიმერ ღლონტი _____

საბჭოს მდივანი

ტასო გეთაშვილი _____